მწყემსისა და წინამძღურისა მიმართ, რომელი-ესე მისცა სხუათა ამათ პირველთქუმულთა თავთა თანა იოვანეს, რაითისა მამასახლისსა, რომელსა ეთხოა მისგან, რაჲთა დაუწერნეს სწავლანი მონაზონებისანი

ქუეყანისა ამის წიგნსა შინა მე შენ, ღმერთშემოსილო, ყოველთა უკუანაჲსკნელ დაგწერე, ხოლო ზეცისასა მას, მრწამს, ვითარმედ ყოველთა უწინარეს იყო პატივითა საღმრთოსა მას წიგნსა შინა დაწერისაჲთა, უკუეთუ ჭეშმარიტ არს თქუმული იგი, ვითარმედ: „რომელნი იყვნენ უკუანაჲსკნელ გონებითა, იქმნენ პირველ ყოველთასა პატივითა“ (შდრ. მათ. 20,16).

1. მწყემსი ჭეშმარიტი იგი არს, რომელმან წარწყმედილნი სიტყჳერნი ცხოვარნი უბიწოებითა თჳსითა, მოსწრაფებითა და ლოცვითა მოძიებად და აღმართებად შეუძლოს.

2. მენავეთმოძღუარი იგი არს, რომელსა მოეღის ძალი უხილავად ღმრთისა მიერ და თჳსთა შრომათაგან – არა ოდენ ღელვათაგან, არამედ უფსკრულთაგანცა აღმოყვანებად ნავისა.

3. მკურნალი იგი არს, რომლისა სული და ჴორცნი იყვნენ მრთელ და უვნებელ, და არავისგან ეჴმარებოდის წამალი.

4. მოძღუარი იგი არს, რომელსა მოეღოს საცნაური წიგნი გულისჴმის-ყოფისაჲ, თითითა ღმრთისაჲთა დაწერილი, რომელ არს ძალი ბრწყინვალებისა მისისაჲ, და სხუათა წიგნთაგან არაჲ ეჴმარებოდის.

5. უშუერ არს მოძღუარი იგი, რომელი წერილთაგან ოდენ ასწავებნ, და მხატვარი, რომელი მაგალითისა თჳნიერ ვერ გამოხატვიდეს.

6. რომელთაჲ გნებავს სწავლაჲ ქუეყანასა ზედა, ზეცით ასწავლიდი, და სახითა საქმეთა შენთაჲთა ასწავლიდი სხუათა.

7. ნუ დაივიწყებ მეტყუელსა მას, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „არა კაცთათჳს, არცა კაცთა მიერ ვასწავლი სწავლასა“ (შდრ. გალ. 1,1), რამეთუ ქუეყანისაჲთა სულისა სენი არა განიკურნის.

8. მენავეთმოძღუარმან კეთილმან განარინის ნავი, და მწყემსმან კეთილმან ცხოველ-ყვნის და განკურნნის სნეულნი ცხოვარნი.

9. რაოდენ ცხოვარნი იგი მორჩილებით და მოუწყუედელად შეუდგენ მწყემსსა, ეგოდენ მწყემსმან მან მიუგოს მათთჳს სიტყუაჲ უფალსა მათსა.

10. ესროდენ სიტყჳთა მწყემსი მცონარებისაგან ანუ ნაყროვანებისა დარჩომილთა ცხოვართა, რამეთუ ესეცა სახე არს კეთილისა მწყემსისაჲ.

11. ოდეს ცხოვართა სიცხისაგან და შრომისა ამათ ჴორცთაჲსა იწყონ სულითა დაძინებად, მაშინ უჴმს მწყემსსა მათთჳს უფროჲსად ზეცად ხედვაჲ და მღჳძარებაჲ, რამეთუ ჟამსა მას მის სიცხისასა მრავალნი განრყუნნის მტერმან. ხოლო აწ, ვითარცა ცხოვართა თანა ვხედავთ წესსა, რომელ ჟამსა სიცხისასა თავთა მათთა ქუეყანად დაიდრეკენ, ეგრეთვე ჩუენ გჳღირს სიმდაბლჱ ურთიერთას, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „გული წმიდაჲ და სული მდაბალი ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს“ (ფსალმ. 50,19).

12. ღამისა სიბნელესა, რაჟამს მოადგიან მჴეცნი სამწყსოსა, მაშინ დააბიან ძაღლი ღამისა საჴუმილავსა შეუძრველად, რაჲთა აყენებდეს მათ. ხოლო შენ სიბნელესა მას შინა ვნებათასა დაადგენდი შენსა მაგას გონებასა, მჴეცთა მომსრველსა, მცველად სულიერისა მის სამწყსოჲსა.

13. ესეცა ჩუეულებაჲ ბუნებისაჲ ყო სახიერმან ღმერთმან ჩუენმან, რომელ, ხედვიდიან რაჲ სნეულნი მკურნალსა, იხარებდიან, დაღაცათუ არას ჰკურნებნ.

14. მოიგენ შენცა, ჵ, საკჳრველო, წამალნი და სადებელნი

წყლულებათა ზედა: ემპლასტროჲ და გამაჴმობელნი წყლულისანი, და წამალნი შესასუმელნი, და საოლავნი თუალთანი, და დამკრველნი განტეხილთა ასოთანი, და განსაწმედელნი შარავთანი, და დამაყენებელნი სულმყრალობათანი, და განსაჴსნელნი ძარღუთანი, და ჭურჭელნი დაწუვისანი, და საცხებელნი წყლულთანი, და წამალნი საძილონი, და მახჳლნი განსაკუეთელად, და შესახუეველნი შემუსრვილთანი. უკუეთუ კულა ამის ყოვლისაგან ცარიელ ვართ, ვითარ ვაჩუენოთ ჴელოვნებაჲ მკურნალობისაჲ, რამეთუ სასყიდელნი არა-თუ სიტყჳთნი არიან, არამედ საქმითნი.

15. ემპლასტროჲ არს განკურნებაჲ ვნებათა ხილულთა ჴორციელთაჲ.

16. შესასუმელი წამალი არს კურნებაჲ შინაგანთა ვნებათაჲ და წარმოცარიელებაჲ ბილწებისა უხილავისაჲ.

17. განმაჴმობელი სისხლისაჲ წამალი არს გინებაჲ და შეურაცხებაჲ, რომელმან ატკივნის გულსა და განკურნის, და განაჴმის სიმსივნჱ და სიმპალჱ ამპარტავანებისაჲ.

18. საოლავი არს თუალთა სულისათა, შემრღუეულთა გულისწყრომისაგან, განმწმედელი მხილებაჲ.

19. ძარღჳს განსაჴსნელი ჭურჭელი არს მსწრაფლი წარმოცარიელებაჲ სიმყრალისა უჩინოჲსაჲ.

20. ძარღჳს განსაჴსნელი ჭეშმარიტი არს მსწრაფლი და ფიცხელი კდემაჲ საკურნებელად სნეულთა მათ.

21. ღრუბელი განსაწმდელი არს, შემდგომად ძარღჳს განკუეთისა მის, ტკბილთა მიერ და ლმობიერთა სიტყუათა მწყემსისა და მკურნალისათა განსუენებაჲ სნეულისა მის.

22. დასაწუველი არს კანონი, მიცემული ჟამ რავდენმე სინანულად და ცხორებად სნეულისა მის.

23. საცხებელი არს შემდგომად დაწუვისა სიტყჳთა ანუ ნუგეშინისცემითა ჴორციელითა ნუგეშინისცემაჲ სნეულისაჲ მის.

24. საძილი არს ტჳრთვაჲ ტჳრთსა მას მორჩილისასა, და რაჲთა მორჩილებისა მიერ მოატყუას მას განსუენებაჲ, და ძილი უძილი, და სიბრმჱ კეთილი ვერ ხედვად თჳსთა სათნოებათა.

25. სახუეველი არს მზუაობრობისაგან დაჴსნილთა მოჴსენებითა სიკუდილისაჲთა განმტკიცებაჲ.

26. ხოლო დასასრულსა ყოვლისასა არს მახჳლი, განჩინებაჲ და მოკუეთაჲ ასოჲსა სულიერისა დამპლისა და უკურნებელისა, რაჲთა არა სხუათაცა მისცეს თჳსი იგი სენი და მღიერი.

27. მკურნალთა შორის სანატრელ არს სულმყრალობისა უჩინომყოფელი იგი წამალი, რომელი ოდეს აქუნ, არღარა ეცემინ სულმყრალობაჲ. და ეგრეთვე, წინამძღუართა შორის სანატრელ არს უვნებელობაჲ, რამეთუ მათ, რაჟამს არა ეცემინ სული სიმყრალისაჲ, ადვილად მივიდოდინ ყოვლისავე წყლულებისა კურნებად; ხოლო ამათ, რაჟამს მოიგიან უვნებელობაჲ, ძალ-უცნ ყოვლისავე სულისა მომკუდარისა აღდგინებად.

28. ესეცა უჴმს წინამძღუარსა სხუათა თანა საქმეთა, რაჲთა თითოეულსა ღირსებისაებრ მისისა პატივ-სცემდეს და აჩუენებდეს სიყუარულსა, ნუუკუე, ვითარცა იაკობმანცა, ავნოს საყუარელსა მასცა და სხუათაცა მისთანათა (იხ. დაბ. 37). ხოლო ესე მათ შეემთხუევის, რომელთა საცნობელნი სულისანი არა სრულიად დაეჩჳნენ განყოფად კეთილისა და ხენეშისა და საშუალისა.

29. სირცხჳლ არს მწყემსისა, უკუეთუ ილოცვიდეს მიცემად მოწაფეთა მისთადა, რომელი თჳთ არა მოეგოს.

30. ვითარცა, რომელთა იხილიან პირი მეფისაჲ და ყვიან იგი მეგობარ თჳსა და ყოველნი წარჩინებულნი მისნი, მიერითგან ძალ-უც უცნაურთათჳსცა მეფისათა, ანუ-თუ მტერთათჳსცა ხუეშნაჲ, უკუეთუ ენებოს, და შეყვანებაჲ წი-

ნაშე მეფისა, ეგრევე წმიდათათჳს გულისჴმა-ყავ, რამეთუ მეგობართა საყუარელთაგან ჰრცხუენისცა მოყუარეთა მათ და ჰმორჩილებენ და მრავალგზის აიძულებინცა მათ მიერ.

31. კეთილ არს, რაჲთა მოვიგნეთ მეგობარნი – უხილავნი იგი ძალნი, რამეთუ ვერვინ ესრეთ შემძლებელ არს შეწევნად ჩუენდა სათნოებისა მიმართ.

32. მითხრა ვინმე ღმრთისმოყუარეთაგანმან, ვითარმედ ყოვლადვეო, არამედ უფროჲსად საუფლოთა დღესასწაულთა, ღმერთი თჳსთა მონათა საკუთართა მიანიჭებს ნიჭთა და მადლთა.

33. უჴმს მკურნალსა, რაჲთა სრულიად მოსპოლნეს მისგან ვნებანი, რაჲთა ესრეთ შეუძლოს ჟამსა შინა, ოდეს ჯერ იყოს, რაჲთა იჩემებდეს რასმე ვნებათაგანსა და უფროჲსად გულისწყრომასა, რამეთუ უკუეთუ სრულიად არა აღჴოცნეს იგინი სულისა თჳსისაგან, ვერ ძალ-უც უვნებელად ჩემებაჲ მათი.

34. ვიხილე ცხენი, რომელი ჯერეთ ვერ სრულიად დამწყსილ იყო, და ამისთჳს ვიდრემდის ლაგამნი მაგრიად ჴელთა აქუნდეს ზედამჯდომელსა, მყუდროებით ვიდოდა. და რომელსამე ჟამსა მცირედ მიუშუა ლაგამთა, და თჳთცა ივნო და მასცა ავნო. ესე იგავი, უფროჲს ყოვლისა, ორთა ეშმაკთა ზედა იქმნების.[70] რომელსა ჰნებავს გულისჴმისყოფაჲ, გულისჴმა-ყავნ!

35. მაშინ გულისჴმა-ყოს მკურნალმან ღმრთისა მიერ მოცემული მისდა სიბრძნჱ, რაჟამს სხუათა მრავალთა მიერ უკურნებელთა ვნებათაგან კურნებად შეუძლოს.

36. არა საკჳრველ არს იგი მასწავლელი, რომელმან

---

[70] „ლაგმად“ გულისჴმა-იყოფების ღმრთისა შიში და კრძალულებაჲ და მარხვაჲ და ზრუნვაჲ წინამძღურისაჲ, ხოლო „ორთა ეშმაკთა“ იტყჳს ამპარტავანებისა და ნაყროვანებისასა, რამეთუ სადა იყოს მარხვაჲ და სიმდაბლჱ, მუნ ვნებათა არარაჲ ძალ-უც.

კეთილად მოსწავლენი ყრმანი განაბრძნვნეს სწავლითა, არამედ რომელმან უსწავლონი და გონებამძიმენი განსწავ-ლნეს და სრულ-ყვნეს.

37. მაშინ გამოჩნდის ინიოხოთა ‍ველოვნებაჲ, ოდეს გამოუცდელითა ცხენითა სძლიან, და ცხენნი იგი განარინ-ნიან.

38. უკუეთუ მოცემულ არიან შენდა თუალნი წინაჲსწარ-ხედვად ღელვათა ნავსა შინა მყოფთა მათ, წინაჲსწარ ეტყო-დე. თუ არა, შენ ხარ მიზეზ მათისა დანთქმისა, ვინაჲთგან შენდა რწმუნებულ არს მენავეთმოძღურებაჲ.

39. ვიხილენ მკურნალნი, რომელთა მიზეზნი ვნებისანი სნეულსა წინაჲსწარ არა აუწყეს და ამის მიერ ფრიადი შე-მუსრვილება და შრომაჲ მოატყუეს სნეულსაცა და თავთა თჳსთაცა.

40. რაჲზომცა ხედვიდეს წინამძღუარი მოწაფეთა მისა მიმართ სარწმუნოებასა, ეგოდენ ყოვლითა კრძალულებითა დაიცვენინ თავი თჳსი საქმეთა ზედა და სიტყუათა, რაჲთა არავის დაბრკოლება სცეს, ვინაჲთგან ყოველნი მას ხედვენ, ვითარცა ხატსა და სახესა მათსა და რჩულსა საქმისა მათი-სასა.

41. მწყემსი ჭეშმარიტი გამოაჩინოს სიყუარულმან სა-მწყსოთამან, რამეთუ სიყუარულისათჳს მწყემსი იგი კეთილი ჯუარს-ეცუა.

42. სიტყუათა შენთა ყოველთავე გულისჴმის-ყოფით იტყოდე და არასადა გევნოს.

43. შეაწუხე სნეული მცირედ ჟამ, რაჲთა არა განუ-გრძელდეს სნეულებაჲ, ანუ-თუ მოკუდეს სრულიად დუმილ-ისა მის შენისაგან მავნებელისა.

44. მრავალნი დუმილისაგან მენავეთმოძღურისა ჰგო-ნებდეს, თუ კეთილად ვლენ, ვიდრემდის სცეს ნავი მათი კლდესა და შემუსრეს.

45. ვისმინოთ დიდისა პავლესი, ვითარ მიუწერს ტიმოთეს და იტყჳს, ვითარმედ: „ამხილე და შეჰრისხენ, და ნუგეშინის-ეც ჟამსა და უჟამოსა“ (2 ტიმ. 4,2). ხოლო ჟამი იგი არს, ვითარ მე ვჰგონებ, რაჟამს მოითმენდენ მხილებულნი იგი, და უჟამოჲ – რაჟამს ელმოდის და შეწუხნებოდინ მისთჳს, რამეთუ წყარონიცა, დაღაცათუ არავის სწყურდის, არა დასცხრებიან აღმოცენებად წყლისა.

46. რომელთამე წინამძღუართა ბუნებაჲ მორცხჳ არს და არა ამხილებენ, სადა ჯერ იყოს, მოწაფეთა, რომელთაცა ვამცნებ, რაჲთა არა დასცხრენ საქმეთა მათ მოძღურისათა ქმნად მოწაფეთა ზედა, რაჲთა არა თჳთცა ივნონ და მათცა ავნონ.

47. ვისმინოთ ჴმისა მის საღმრთოჲსაჲ, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „მოჰკუეთე ეგე, რაჲთა არა ქუეყანასაცა აცთუნებდეს“ (შდრ. ლუკ. 13,7); და კუალად იტყჳს, ვითარმედ: „მოისპენ უკეთურებაჲ თქუენგან“ (1 კორ. 5,13); და კუალად იტყჳს, ვითარმედ: „ნუ ილოცავ ჩემდამო ერისა ამისთჳს“ (იერ. 7,16); და ეგრეთვე კუალად საულისთჳს ეტყოდა სამოელს, ვითარმედ: „რაჲსათჳს შენ მწუხარე ხარ საულისთჳს? და მე განმიგდიეს იგი ჩემგან“ (1 მეფ. 16,1). ამას ყოველსა ჯერ არს, რაჲთა მეცნიერ იყოს მწყემსი, თუ რომელთა საქმეთა ზედა, და ოდეს, და ვითარ ჯერ არს ყოფად; რამეთუ ღმრთისა არარაჲ არს უჭეშმარიტეს.

48. რომელსა თჳსაგან შეჰრისხნე და არა შეჰრცხუენდეს, მას, თუცა სიმრავლესა ზედა შეჰრისხნე, არავე ჰრცხუენეს, რამეთუ ჩუეულებაჲ ბოროტისაჲ მოუღებიეს და ცხორებაჲ თჳსი მოუძულებიეს.

49. ვიხილენ სნეულნი კეთილნი, რომელთა იცოდეს თჳსი მოშიშებაჲ და უთმინოებაჲ. და, დაღაცათუ არა ენება მკურნალთა შეკრვაჲ მათი და ესრეთ კურნებაჲ, არამედ იგინი ევედრნეს ნებსით, რაჲთა იძულებით და უნებლიაჲთ

ჰკურნოს მათ მკურნალმან, რამეთუ სული გულსმოდგინე იყო საუკუნოჲსა მისთჳს სასოებისა, ხოლო ჴორცნი უძლურ პირველთა მათთჳს ჩუეულებათა, რომელნი-იგი ვიხილენ რაჲ, განვაზრახე მკურნალთა, რაჲთა ისმინონ მათი.

50. არცა ყოველთადა უჴმს წინამძღუარსა მისა მომავალთა თქუმად, თუ იწრო და საჭირო არს ბჭჷ იგი (მათ. 7,14), არცა ყოველთადა უჴმს თქუმაჲ, თუ უღელი ტკბილ არს და ტჳრთი მცირე (მათ. 11,30); არამედ რაჲთა თითოეულსა ჯერისაებრ დასდებდეს წამალსა: და რომელნი ძნელოანთა ცოდვათაგან დამძიმებულ იყვნენ და მოუძლურებულ, მეორესა მას ეტყოდის, რომელნი მიდრეკილ იყვნენ სასოწარკუეთილებისა მიმართ; და კუალად – რომელთა გონებაჲ სიმაღლისა და ამპარტავანებისა მიმართ მიდრეკილ იყოს, მათთჳს პირველი იგი კეთილ არს.

51. რომელთამე ენება გზასა შორსა წარსლვაჲ და ჰკითხეს მეცნიერთა მის გზისათა. და მათ ჰრქუეს, ვითარმედ: „ადვილ არს და ვაკე“. ამისთჳსცა სიტყჳთა მათითა უდებებით იწყეს სლვად და ნახევარსა გზისასა დაიჴსნეს, ანუთუ უკუნიქცეს, რამეთუ განუმზადებელ იყვნეს ბრძოლათა მიმართ. და ეგრეთვე წინააღმდგომი გულისჴმა-ყავ.

52. სადა სურვილი ღმრთისაჲ მიეახლა, მუნ შიშმან სიტყუათამან ვერ შეუძლო; და სადა შიში გეჰენიისაჲ შევიდა, მუნ ყოველთავე შრომათა თავსდებაჲ ადვილ იქმნა; და სადა სასუფევლისა სასოებაჲ იცნობების, მუნ შეურაცხებაჲ არს ყოვლისავე ქუეყანისაჲ.

53. უჴმს კეთილსა ერისთავსა, რაჲთა მეცნიერ იყოს ერისა მისისა თითოეულისა ძალსა და ახოვნებასა, რამეთუ ნუუკუე იყვნენ ვინმე შორის ერისა მისისა წინამბრძოლ, და მარტოდმბრძოლ, რომელთა უჴმს დაყუდებით დაჯდომაჲ.

54. ვერ ძალ-უც მენავეთმოძღუარსა ოდენ, თჳნიერ მენავეთა შეწევნისა, ნავისა განრინებად, ვერცა მკურნალსა განკურნებად სნეულისა, არა-თუ უჩუენოს სნეულმან მან წყლულებაჲ თჳსი და ევედრებოდის მას კურნებად წყლულისა მის.

55. რომელთა ჰრცხუენა მკურნალისაგან, დალპეს წყლულებანი მათნი და მრავალნი მო-ცა-კუდეს სრულიად.

56. რაჟამს ძოვდენ ცხოვარნი, ნუ დასცხრების მწყემსი სტჳნვასა სიტყჳსასა, და უფროჲსად – ეგულებოდის რაჲ მათ დაძინებაჲ. და არარაჲსაგან ეშინის ესრეთ მგელსა, ვითარ სტჳნვისაგან მწყემსისა.

57. არცა მარადის დამდაბლებაჲ უჴმს თავისა თჳსისაჲ უგულისჴმოდ მწყემსსა, არცა მარადის აღმაღლებაჲ უგუნურად, ვინაჲთგან ხედავს პავლეს, დიდსა მოციქულსა, ვითარმედ ორსავე ამას შინა ჯეროვნად იქცეოდა.

58. მრავალგზის უფალმან დაუყვნის თუალნი მორჩილთა ახლადმოსრულთანი, რაჲთა ვერ ხედვიდენ ნაკლულევანებათა მოძღურისათა, ხოლო რომელთამე წინამძღუართა გამოუცხადნეს მათ იგინი, და ვნებაჲ მოატყუეს.

59. ვიხილე წინამძღუარი, რომელი დიდისა მის სიმდაბლისა მისისაგან შვილთა თჳსთა განაზრახებნ, ეგულებინ რაჲ ქმნაჲ რაჲსაჲმე; და ვიხილე სხუაჲ, რომელი თჳსსა სიბრმესა უგუნურებით გამოუცხადებდა და კიცხევით რომელთამე საქმეთა ზედა განაზრახებნ მათ.

60. ვიხილენ ვნებულნი, რომელთა ვნებულად იწყეს წინამძღურობად, და მცირე-მცირედ შეჰრცხუენა მოწაფეთა მათთაგან, და ვნებანი მოიწყჳდნეს. ხოლო ესე, ვითარ მე ვჰგონებ, სასყიდელმან მან, მათ მიერ ცხოვნებულთამან, ქმნა მათ ზედა, და ექმნა მათ ვნებულად დაწყებული იგი საქმჱ უვნებელობისა მიზეზ.

61. ვეკრძალნეთ, ნუუკუე ნავთსაყუდელსა შინა მოგე-

ბული ზღუასა შინა განვაბნიოთ. იციან თქუმული ესე, რომელნი ჯერეთ დაუმწყსელ არიან კეთილსა შინა და შევლენ ამბოხებათა და ზრუნვათა ჴორციელთა.

62. დიდ არს ჭეშმარიტად სულგრძელად და მჴნედ მოთმინებაჲ სიცხესა მას დაყუდებისასა და მყუდროებასა და მოწყინებასა მისსა, და რაჲთა არა ეძიებდეს გარეგან სენაკისა განსლვათა და განცხრომათა, ვითარ იქმან სულმოკლენი მენავენი, და ჟამსა მყუდროებისასა წყალთა შინა ცურვენ. ხოლო ფრიად უზეშთაეს არს არაშიში შფოთთა და ამბოხებათაგან, არამედ დადგრომაჲ მათ შინა შეუშფოთებელითა და აღუძრველითა გულითა, და ყოფაჲ გუამითა კაცთა თანა და გონებითა ღმრთისა თანა.

63. ესეცა, ჵ, საკჳრველო, საძიებელმცა არს, თუ რომელი დაშჯილი მოვალს საშინელსა ამას და ჭეშმარიტსა სამშჯავროსა ჩუენსა, ანუ რომელი უბრალოჲ მოისწრაფის მსახურებად და მონებად ღმრთისა. რამეთუ ამათ ორთავე გამოსლვანი ურთიერთას წინააღმდგომ არიან და განყოფილნი მოქალაქობანი უჴმან მათ.

64. ყოვლისა პირველად ჰკითხევდ მოსრულსა მას თჳსაგან, თუ რაჲ არიან საქმენი მისნი, რაჲთა ორი სარგებელი მიეცეს აღსარებისაგან: რაჲთა აღსარებისა მისთჳს ჰრცხუენოდის და მარადის იყოს შორს კადნიერებისაგან, და რაჲთა იცოდის, თუ ვითართა ტჳრთთა მისთა თავსმდებელ-ქმნილ ვართ და სიყუარულად აღიძრვოდის.

65. ნუცამცა ამას უმეცარ ხარ, ჵ, პატიოსანო, ვითარცაიგი არცა უმეცარ ხარ. ნუ იყოფინ! ვითარმედ ღმერთი განიკითხავს შეცოდებულთა ადგილისაებრცა და გონებისა და ზრდილობისა. და ეგრეთვე შენ იქმოდე, რამეთუ ფრიადი განყოფილებაჲ არს საქმეთა შინა ცოდვისათა.

66. მრავალგზის უუძლურესი უმდაბლესცა არნ გონებითა; ამისთჳსცა უსუბუქესადცა ღირს არს ტანჯვად სუ-

ლიერთა მათ მსაჯულთა მიერ, ხოლო წინააღმდგომი ამისი საცნაურ არს.

67. არა მშჯდობა არს, უკუეთუ ლომი ცხოვართა მწყსიდეს; და არა უცთომელ არს, უკუეთუ ვნებული ვნებულთა წინამძღუარ იყოს.

68. უშუერ არს მელი ქათამთა შორის, და უშუერ არს გულისწყრომაჲ წინამძღუართა თანა; რამეთუ იგი ქათამთა შეშჭამს, ხოლო ესე – სულთა პირმეტყუელთა ავნებს.

69. იხილე, ნუ ხარ ზომისა უმეტეს წულილადთა საქმეთა გამომეძიებელ, რაჲთა ესრეთ იქმნა მსგავს ღმრთისა.

70. გაქუნდინ ღმერთი წინამძღურად ყოველთავე საქმეთა შენთა – გულისათა და გარეშეთა. და ნუ რას ზედა იქმ ნებასა შენსა, არამედ მისსა, რაჲთა იქმნა შენცა უზრუნველ, რაჟამს ყოველივე მისდა მიგენდოს და მისითა წამისყოფითა იქმოდი.

71. ესემცა საძიებელ არს ჩუენ შორის: უკუეთუ სარწმუნოებისათჳს ჩუენდა მოსრულთაჲსა და არა ჩუენისა მოსწრაფებისაგან მოვიდა მადლი ღმრთისა მიერ ჩუენ ზედა, რამეთუ მრავალთა ვნებულთაცა ამით სახითა სასწაულნი ქმნნეს.

72. უკუეთუ მრავალთა ჰრქუან უფალსა მას დღესა შინა, ვითარმედ: „უფალო, არა სახელითა შენითა ვწინაჲსწარმეტყუელებდითა?“ (მათ. 7,22). არა-სადმე ურწმუნო არს ზემოთქუმული ესე თავი.

73. რომელნი გზასა ამას ძლიერად ვიდოდინ, მათ ძლიერიცა და სრული და მტკიცჱ წამალი წინაუყავ; ხოლო რომელნი ჩჩჳლ არიან ჯერეთ გონებითა, მათ სძჱ ეც, ვითარცა ჩჩჳლთა, რამეთუ ჟამი არს თითოეულისა ჭამადისაჲ.

74. ერთმან ჭამადმან რომელთამე გულსმოდგინებაჲ მოატყჳს, და მანვე ჭამადმან სხუათა – სულმოკლებაჲ. ამისთჳს ჯერ არს, რაჲთა ჟამისაებრ და პირისა და საზომისა დავასხმიდეთ თესლსა.

75. რომელთამე სულთა წინამძღურობისა საქმჱ არად შერაცხეს და ჴელ-ყვეს უგუნურებით სულთა წინამძღურობად, და აქუნდა მათ მრავალი სიმდიდრჱ, და ცარიელნი მის ყოვლისაგან წარვიდეს ამიერ, რამეთუ სხუათა განუყვეს იგი წინამძღურობითა მით.

76. ვითარცა-იგი არიან ჭეშმარიტნი შვილნი, და სხუანი – მეორადისა ცოლისანი, და სხუანი – დაგდებულნი, და სხუანი – მჴევლისაგან, ეგრეთვე მოძღურებაჲცა თითოსახე იქმნების.

77. არს მოძღურებაჲ ჭეშმარიტი – მიცემაჲ სულისაჲ სულისათჳს მოყუსისა სრულიად; და არს სხუაჲ – პირველთა ოდენ ცოდვათა ტჳრთვაჲ; და სხუაჲ არს მის მიერ ბრძანებულთა საქმეთა სიმძიმისა ოდენ ტჳრთვაჲ, ნაკლულევანებისათჳს უვნებელობისა და სულიერისა ძალისა.

78. სრულსა მასცა მოძღურებასა შინა დატევებისაებრ ნებისა მათისა ვიტჳრთავთ ჩუენ საშჯელსა.

79. შვილი ერთგული მაშინ იცნობების, ოდეს მამაჲ არა მის თანა იყოს.

80. ასწავებდინ წინამძღუარი მათ, რომელნი წინაშე კაცთასა სიტყუასა უგებდენ მას, და წინაშე დიდთა პირთასა, და ჰკანონვიდენ მათ მძიმითა კანონითა, რაჲთა სხუათაცა შიში მოეტყუას მათ მიერ, დაღაცათუ მძიმედ ელმოდის და განმწარდებოდინ შერისხვისა მისთჳს, რამეთუ უმჯობეს არს მრავალთა სარგებელი ერთისა სავნებელსა.

81. არიან ვიეთნიმე, რომელნი სიყუარულისაგან უზეშთაეს ძალისა იტჳრთვენ ტჳრთთა სხჳსათა სიტყჳსა მისთჳს, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „უფროჲსი ამისსა სიყუარული არავის აქუს“ (იოვან. 15,13) და შემდგომი ამისი; და არიან სხუანი, რომელთა მოუღებიეს ძალიცა ღმრთისა მიერ ტჳრთვისაჲ და არა იქმან, რაჲთამცა აცხოვნეს ძმაჲ, და ცხორებისა მისისათჳს იტჳრთესმცა სიმძიმჱ. ხოლო მე, ვითარცა

სიყუარულისაგან უცხოთა, ვაბრალებ მათ და საწყალობელ მიჩან. ხოლო პირველთა მათთჳს მიპოვნიეს წერილი, ვითარმედ: „რომელმან გამოიყვანოს პატიოსანი არაწმიდებისაგან, ვითარცა პირი ჩემი იყოს იგი“ (შდრ. იერ. 15,19), და კუალად, რომელი იტყჳს: „ვითარცა უყავ მას, გეყავნ შენ“ (შდრ. აბდ. 1,15).

82. იგიცა გულისჴმა-ყავ, ვითარმედ მრავალგზის გონებით ცოდვაჲ წინამძღურისაჲ უძჳრეს განიკითხვის საქმით ქმნასა მოწფისასა, რამეთუ უადვილეს არს ცოდვაჲ მჴედრისაჲ, ვიდრე ბოროტად განზრახვაჲ ერისთავისაჲ.

83. ასწავლიდი მოწაფეთა შენთა, რაჲთა ჴორციელთა ცოდვათა არა იჴსენებდენ სახითა ვითარ ექმნას, ხოლო სხუასა ყოველსავე იჴსენებდენ ღამე და დღჱ, ვითარ ექმნას.

84. ასწავებდი, რაჲთა ყოვლითურთ უმანკო იყვნენ ურთიერთას, ხოლო ბრძენ და მრავალღონე – ეშმაკთა მიმართ, და ამას ზედა სახედ მისცემდი თავსა შენსა.

85. ნუმცა დაგეფარვის ურთიერთას სიყუარულიცა სამწყსოთა შენთაჲ, რამეთუ ღონე არს მგელთაჲ დაჴსნილთა მიერ მოსწრაფეთაცა დაჴსნად.

86. ნუ უდებ ხარ უდებთათჳს ლოცვად, არა-თუ რაჲთა შეიწყალნენ – რამეთუ ესე შეუძლებელ არს, ვიდრემდის იგინი არა შეგეწეოდინ – არამედ ამას ილოცევდი, რაჲთა ღმერთმან მოსწრაფებად მოიყვანნეს.

87. უძლურნი მწვალებელთამცა თანა ნუ მივლენ ჭამად, ვითარცა წერილ არს მამათა მიერ; ხოლო ძლიერთა, უკუეთუ ენებოს წარსლვაჲ და ჭამაჲცა, დიდებად უფლისა მივიდოდედ.

88. ნუ ჰმიზეზობ უმეცრებასა, რამეთუ რომელმან არა იცოდის და ქმნას ღირსი გუემისაჲ, იგუემოს, რომელ არა ისწავა (შდრ. ლუკ. 12,48).

89. სირცხჳლ არს მწყემსისაგან შიში სიკუდილისაჲ; ვინაჲთგან მორჩილებაჲცა ესე არს უშიშებაჲ სიკუდილისაგან, მაშა არა უფროჲსად წინამძღურობასა უჴმსა უშიშებაჲ სიკუდილისაჲ?

90. გამოიძიე, ჶ, ნეტარო, თუ რომელთა სათნოებათა თჳნიერ არა იხილვების უფალი, და იგინი ასწავენ ყოვლისა უწინარეს შვილთა შენთა. ხოლო ყოვლისავე დედათა და სავნებელთა პირთა ხილვისაგან განაშორენ.

91. ძალისაებრ და საზომისა თითოეულისა ჩუენსა ქუეშე მყოფთაჲსა განვაგნეთ საქმენი მათნი, რამეთუ არავისი ჯერ არს ნავთსაყუდელისაგან განვლენაჲ.

92. პირველ ჯეროვნისა გამოცდისა ჴელთა ნუ ვის დავასხამთ (ნუუკუე ვერ თავს-იდვან სიცხე და შრომაჲ მონოზონებისაჲ და სოფლად მიიქცენ) ნუ ქრთამისათჳს, ნუცა დიდთა შვილობისათჳს, რამეთუ საშჯელისა თანამდებ არიან ესევითარნი, და რომელთა დაესხნენ მათდა ჴელნი, არა უბრალო იყვნენ.

93. ვინ-მე არს ესევითარი მნჷ ღმრთისაჲ, რომელსა თჳსნი ცრემლნი და შრომანი თავისა თჳსისათჳს არღარა ეჴმარებიან, არამედ სხუათათჳს ჰყოფს მათ ღმრთისა მიმართ ურიდად?

94. ნუ დასცხრები სულთა და ჴორცთა შეგინებულთა წმიდა-ყოფად, რაჲთა არა თჳსისა ოდენ სულისა, არამედ სხუათაცა სულთათჳს მიიხუნე ღმრთისა მიერ გჳრგჳნი, სახე რაჲ კეთილისა ექმნე სხუათა და შენ ძლით იდიდოს ღმერთი.

95. ვიხილე უძლური ვინმე ძმაჲ, რომელმან უძლურებაჲ სხჳსა უძლურისაჲ სარწმუნოებით განწმიდა, რაჟამს ურცხჳნელობაჲ საქებელი იჴმარა მისთჳს ღმრთისა მიმართ და სული თჳსი სულისა მისისათჳს დადვა, გარნა სიმდაბლით, და მისისა კურნებისაგან თავი თჳსიცა განკურნა; და ვიხილე სხუაჲ, რომელმან ამპარტავანებით ეგრეთვე ქმნა, და ესმა

რისხვით, ვითარმედ: „მკურნალო, განიკურნე პირველად თავი შენი“ (ლუკ. 4,23).

96. იქმნების ჯმნაჲ კეთილისაგან უზეშთაესისა კეთილი-სათჳს, ვითარცა რომელი-იგი წამებისაგან დაცვულ იქმნა, არა-თუ რამეთუ მას ეშინოდა, არამედ სხუათა მათთჳს, რომელნი მისგან ირგებდეს და განათლდებოდეს.

97. არს კაცი, რომელი სხუათა პატივისათჳს მისცემს თავსა თჳსსა შეურაცხებად, და სხუათა მიერ შერაცხილ არს გემოთმოყუარედ და მაცთურად და იგი არს ჭეშმარიტ.

98. უკუეთუ რომელსა აქუნდეს სიტყუაჲ სარგებელისაჲ და არა მისცემდეს უშურველად, და არა განერეს იგი ბრალისაგან, მაშა რაჲზომი ბრალი მოიწიოს, საყუარელო, მას ზედა, რომელსა ძალ-ედვას საქმითცა შეწევნაჲ და არა შეეწიოს.

99. იჳსენ, რომელი-ეგე ჴსნილ ხარ ღმრთისა მიერ, აცხოვნე, რომელი-ეგე ცხოვნებულ ხარ, განარინენ მიმავალნი სიკუდილად და მოიყიდენ, რომელნი-იგი მოიკლვოდინ ეშმაკისაგან, რამეთუ ესე არს საქმჱ უზეშთაესი ყოვლისავე საქმისა და ხედვისა კაცთა და ანგელოზთასა.

100. რომელი ღმრთისა მიერ მოცემულითა მისდა სიწმიდითა სხუათა ბილწებასა განსწმედდეს, გამოაჩინებს თავსა თჳსსა შემწედ უჴორცოთა მათ ძალთა, რამეთუ უბიწოთა მსხუერპლთა შესწირავს იგი ღმრთისა. და ესე საქმჱ ანგელოზთაჲ არს, რამეთუ შეწირონ მისა ძღუენი სულთაჲ ყოველთა, რომელნი არიან გარემოჲს მისსა (შდრ. ფსალმ. 75,12).

101. არარაჲ ესრეთ გამოაჩინებს ჩუენდა მომართ დამბადებელისა ჩუენისა კაცთმოყუარებასა და სახიერებასა, ვითარ ესე, რომელ დაუტევნა ოთხმეოცდაათცხრამეტნი და მოვიდა მოძიებად შეცთომილისა მის ერთისა ცხოვარისა.

102. ეკრძალე შენცა, ჵ, ნეტარო, და ყოველი მოსწრაფებაჲ შენი და სიყუარული და მჴურვალებაჲ და ვედრებაჲ

ღმრთისაჲ შეცთომილსა და შემუსრვილსა ზედა აჩუენე, რამეთუ სადა დიდ იყვნენ სენნი და წყლულებანი, მუნ უეჭველად დიდნიცა სასყიდელნი მიეცემიან.

103. გამოვიძიოთ და გულისჴმა-ვყოთ, რამეთუ არათუ ყოვლადვე სამართლისა შჯაჲ უჴმს წინამძღუარსა უძლურებისათჳს.

104. ვიხილენ ორნი მოსაჯულნი წინაშე მსაჯულისა ყოვლადბრძნისა, და უსამართლოჲ იგი, ვითარცა უძლური, განამართლა, ხოლო მართალი იგი, ვითარცა ახოანი, განაცრუა, რაჲთა არა მართლმსაჯულობითა უმეტესი განხეთქილებაჲ იქმნას, და თჳსაგან თჳთოეულსა უთხრა საქმჱ თჳსი, და უფროჲსად – რომელი-იგი უძლურ იყო.

105. ველი მწუანვილოანი ყოველთავე ცხოვართათჳს კეთილ არს; ხოლო სწავლაჲ და მოჴსენებაჲ სიკუდილისაჲ ყოველთავე სიტყჳერთა ცხოვართათჳს კეთილ არს და სარგებელ.

106. შეურაცხ-ჰყოფდი და ჰკდემდი სულგრძელთა წინაშე უძლურთასა, რაჲთა სხჳსა წამლითა სხჳსა წყლულებაჲ განჰკურნო, და სულგრძელთა მათ მოთმინებაჲ უმეტესი ასწაო.

107. არასადა განუქიქებიეს ღმერთსა აღსარებაჲ ვისიმე, რაჲთა არა დააბრკოლნეს აღმსარებელნი იგი განქიქებითა მით და მერმე უკურნებელად დასნეულდენ.

108. დაღაცათუ წინაჲსწარცნობისა მადლი გუაქუნდეს, ნუმცა ჩუენ უთხრობთ შეცთომილთა მათ ცთომასა პირველვე, არამედ უფროჲსად იგინი ღონისძიებით მოვიყვანნეთ, რაჲთა მათცა აღსარებითა მით პოონ ლხინებაჲ ცთომისა მის მათისაჲ.

109. შემდგომად აღსარებისა უმეტეს პირველისა მივსცეთ მათ ჩუენდა მომართ კადნიერებაჲ, რამეთუ ამით სახითა დიდად წარემართნენ ჩუენდა მომართ სარწმუნოებასა

და სიყუარულსა. და კუალად გჳღირს, რაჲთა ვასწავლიდეთ მათ ქონებად ჩუენდა მომართ შიშისა, და ჩუენ კუალად სახესა სიმდაბლისასა ვაჩუენებდეთ მათ.

110. იხილე, ნუუკუე უზომომან სიმდაბლემან შენმან ნაკუერცხალი ცეცხლისაჲ შეკრიბოს თავთა ზედა შვილთა შენთასა.

111. გულისჴმა-ყავ, ნუუკუე არიან შენსა მაგას ვენაჴსა ხენი, რომელნი ოდენ ქუეყანასა აცთუნებენ, და ნუუკუე სხუასა ადგილსა შემძლებელ არიან ნაყოფიერებად, რომელთაცა სიყუარულით აღმოფხურად და სხუასა მას ადგილსა დანერგვად ნუ უდებ ვიქმნებით.

112. ნუუკუე შემძლებელ იყოს წინამძღუარი სოფლისა მახლობელთაცა ადგილთა დაუბრკოლებელად ქმნად სათნოებისა, არამედ ეკრძალენ მის თანა მყოფთათჳს. და უკუეთუ მუნ ენებოს ყოფად, ნუ შეიწყნარებნ ძმათა ვნებულთა, რამეთუ არა-თუ ყოველი არა-შეწყნარებაჲ ხენეშ არს.

113. უკუეთუ სულიერი დაყუდებაჲ აქუნდეს მკურნალსა, ჴორციელი არა ფრიად საჴმარ არს მისდა კურნებასა მას შინა სნეულთასა. უკუეთუ კულა პირველი იგი არა აქუნდეს, მეორჱ ესე იჴმარენ.

114. არაჲ არს ესრეთ კეთილად შეწირული ჩუენ მიერ ღმრთისა ძღუენი, ვითარ სულთა პირმეტყუელთა სინანულითა მისდა მიპყრობაჲ.

115. ყოველივე სოფელი ერთისა სულისა არა ღირს არს, რამეთუ იგი წარვალს, ხოლო ესე უკუნისამდე ჰგიეს. ამისთჳს უკუე ნუ ჰნატრი, ნეტარო, რომელნი საფასეთა, არამედ – რომელნი ცხოვართა პირმეტყუელთა შესწირვენ ქრისტესა.

116. უბიწოჲმცა არს მსხუერპლი შენი, თუ არა, რაჲ სარგებელ-გეყოს?

117. ვითარცა-იგი მიცემაჲ ჯერ იყო ძისა კაცისაჲ, ხოლო

ვაჲ მისდა, რომლისა მიერ მიეცეს! ეგრეთვე წინააღმდგომი ამისი გულისჴმა-ყავ, ვითარმედ ცხოვნებაჲ ჯერ იყო ყოველთა მოსწრაფეთაჲ, ხოლო სასყიდელი მისი არს, რომლისა მიერ ცხორებაჲ მათი იქმნა.

118. შემდგომად ღმრთისა, ძალიცა დიდი გჳჴმს სულიერი, ჵ, წმიდაო მამაო, რაჲთა რომელთა-იგი ჴელ-გჳყოფიეს წმიდასა მას წმიდათასა შეყვანებად და შეწირვად საკურთხეველსა ღმრთისასა, ვიდრემდის წინაშე კართა შესავლისათა იყვნენ, უკუეთუ ვიხილნეთ იგინი სიმრავლისა მისგან ხენეშისა შეიწრებულნი, უპყრათ ჴელთა მათთა, ვითარცა ჩჩჳლთა, და ხენეშისა მისგან გულისსიტყუათაჲსა განვათავისუფლნეთ. უკუეთუ კულა ფრიად ჩჩჳლ და უძლურ იყვნენ, მჴართა ზედა ჩუენთა ვიტჳრთნეთ და აღვამაღლნეთ, ვიდრემდის შევლონ კარი იგი იწროჲ და საჭიროჲ, რამეთუ ყოველივე შეიწრებაჲ და ტენებაჲ მუნ იქმნების. ამისთჳსცა იტყოდა წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: „ესე არს შრომაჲ ჩემ წინაშე დიდი, რაჲთამცა ერთოდენ შევედ სიწმიდესა ღმრთისასა“ (შდრ. ფსალმ. 72,16).

119. თქუმულ არს ჩუენ მიერ ზემოთა მათ თავთა შინა, ჵ, მამათა მამაო, მის მამათა მამისათჳს და მოძღურისა მოძღუართაჲსა, თუ ვითარი იყო: სიბრძნითა ზეცისაჲთა ყოვლითურთ შემკობილი, ჯეროვნად მამხილებელი, წმიდაჲ, მოწყალე, შემნდობელ, ბრწყინვალე; და ყოვლისა უმჯობესი ესე იყო მის თანა, რომელ უკუეთუ ვინ იხილის, ვითარმედ ჰნებავს ცხორებაჲ, უმეტესი მოსწრაფებაჲ დადვის მის ზედა და კუალად – რომელნი იხილნის, თუ აქუს თჳსი ნებაჲ და სიყუარული საქმისა რაჲსაჲმე, ესრეთ ისწრაფის მოწყუედად ნებისა მის, რომელ ყოველნივე ივლტოდიან ქონებად რაჲსამე ზედა ნებისა თჳსისა. და იტყოდა ამასცა სანატრელი იგი, ვითარმედ: „უმჯობეს არს განძებაჲ მონასტრისაგან, ვიდრე შენდობად ნებისა თჳსისა ქონებად მოწაფეთა;

რამეთუ რომელმან განაძის, მრავალგზის განძებული იგი დაამდაბლის, ხოლო რომელი მიუშუებდეს ნებასა თჳსსა, ვითარცა-სახედ მოწყალებით, მან ყოს, რაჲთა ჟამსა სიკუდილისასა საწყალობელად სწყევდენ მას, რამეთუ აცთუნნა და ვერარაჲ არგო მათ“.

120. აქუნდა ესეცა ჩუეულებაჲ დიდსა მას, რომელ შემდგომად მწუხრისა გალობისა დაჯდის იგი საყდართა ზედა გუამითა ძელისასა, და სულითა მადლთასა, ვითარცა მეუფჱ. და გარემოადგიან მას, ვითარცა ბრძენნი ფუტკარნი, კეთილი იგი კრებული და ვითარცა სიტყუათა ღმრთისათა, ისმენდეს სიტყუათა მისთა, და ჰმორჩილებდეს ბრძანებათა მისთა: და რომელსამე უბრძანებნ ორმეოცდაათისა ფსალმუნისა, და რომელსამე – ოცდაათისა, და რომელსამე – ასისა თქუმად პირველ დაძინებისა, და რომელსამე ეგრეთვე მუჴლთდრეკასა უბრძანებნ; და სხუასა ქუეჯდომით ძილი მისცის; და სხუასა ჟამი განუწესის წიგნისკითხვისაჲ; და სხუასა უბრძანის ლოცვად დადგომად განწესებულსა ჟამსა. და დაედგინნეს ორნი ძმანი ზედამდგომელად, რაჲთა დღისი აყენებდენ ცუდადმეტყუელებისაგან, და ღამით კუალად ცუდისა მღჳძარებისაგან, ანუ ურთიერთას თანა უბნობისა. და კუალად, ტაბლასაცა ზედა თითოეულისადა წესი განეწესა დიდსა მას, რამეთუ არა-თუ ყოველთა ჭამადი ერთი იყო, არამედ თითოეულისა წესი დაედვა; და რომელსამე ჴმელსა პურსა და წყალსა უბრძანებნ მიღებად კეთილი იგი მნჱ, და სხუათა უმეტესად-რე ნუგეშინის-სცემნ. და საკჳრველი ესე იყო, რომელ ყოველსავე უდრტჳნველად, ვითარცა პირისაგან ღმრთისა შეიწყნარებდეს; და აქუნდა ქუემო-კერძო დიდისა მის ადგილი იგი დილეგისაჲ, რომლისათჳს ვთქუთ, და ზემო-კერძო დიდისა მის მონასტრისა კუალად სხუაჲ ლავრაჲ, რომელსა შინა ძლიერთა მიავლინებნ დაყუდებად ძლიერი იგი და სრული.

121. ნუ შეუნდობ, გევედრები, წრფელთა, რაჲთა არა გულარძნილ იქმნენ, არამედ უფროჲსად გულარძნილნი, უკუეთუ ძალ-გედვას, მოიყვანენ სიწრფოებად.

122. სრულიად უვნებელ-ქმნული იგი შემძლებელ არს კეთილად და ჯერისაებრ ქმნად საშჯელისა, რამეთუ ნაკლულევანებაჲ უვნებელობისაჲ სცემს გულსა მსაჯულისასა და არა შეუნდობს ჯეროვნად ყოფად საშჯელისა.

123. სარწმუნოებისა მართლისა სამკჳდრებელი დაუტევე ყოვლისა პირველად შვილთა შენთა, რაჲთა არა ოდენ შვილნი, არამედ შვილისშვილნიცა შესწირნე უფლისა მართლმადიდებლობით.

124. ჭაბუკთა მჴურვალეთა და ქედფიცხელთა დაქენჯნად ნუ შეიწყალებ, რაჲთა ჟამსა სიკუდილისასა გადიდონ შენ.

125. ამასცა ზედა სახედ შენდა იყავნ დიდი იგი მოსე, ჵ, ყოვლადბრძენო, რამეთუ ვერ შეუძლო მორჩილთა მათ მისთა ფარაოჲსაგან განთავისუფლებად, ვიდრემდის ჭამეს უფუარი.

126. უფუარი ესე არს, რაჲთა არა აქუნდეს მოწაფესა მიშუებაჲ ნებასა თჳსსა, რამეთუ ნებაჲ აღამაღლებს კაცსა, ხოლო უფუარი მარადის მდაბალ არს. ხოლო ველისყრდელად გულისჴმა-ვყოთ სიფიცხჱ იგი მხილებისა და კდემისა მოძღურისაჲ და იწროებაჲ იგი მარხვისაჲ, რომელი ექმნის სიმწარე ჴორცთა, ხოლო არნ იგი ტკბილ სულისა უფროჲს თაფლისა გოლეულისა.

127. ხოლო მე, ჵ, მამათა მამაო, რომელი ამას შენ მოგიწერ, ვძრწი სიტყჳსა მისგან, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „რომელი სხუასა ასწავლი, თავსა თჳსსა არა ექმნები მასწავლელ“ (რომ. 2,21). ხოლო აწ ესეოდენ ვთქუა და სარბიელი სიტყჳსა ჩემისაჲ დავაცადო.

128. რომელი სიწმიდისა მიერ ღმრთისადა შეყოფილი იყოს, სხჳსა სიტყუაჲ სწავლად არა ეჴმარების, რამეთუ სი-

ტყუაჲ იგი დაუსაბამოჲ აქუს მოძღურად და წინამძღურად
და განმანათლებელად მისა ნეტარსა მას, ვითარცა-ეგე არს
შენი სიწმიდჱ, რომელსა არა სიტყჳთა ლიტონითა მეცნიერ
ვარ, არამედ საქმით გამოცდილ ვარ შენსა მას ყოვლად-
წმიდასა გონებასა, მომსრველსა მჴეცთა მათ ბოროტთასა,
სიმშჳდითა შენითა და სიმდაბლითა, მსგავსად დიდისა მის
რჩულისმდებელისა მოსესა, რომლისა კუალსა შეუდეგ, და
კნინღა მასცა წარჰჴედ სიწმიდისა და ქალწულებისა მადლი-
თა, რომლისა მიერ უფროჲს ყოვლისა შესაძლებელ არს მი-
ახლებად ღმრთისა, წმიდისა მის და უხრწნელისა, რომელი-
იგი მომნიჭებელ არს უხრწნელებისაჲ და აღამაღლებს ქუე-
ყანით ზეცად მოღუაწეთა მათ. რომლისათჳსცა შენცა, ვი-
თარცა ცეცხლისა ეტლითა, მსგავსად დიდისა მის ელიაჲსა
ამაღლებულმან, არა-თუ ოდენ მეგჳპტელი იგი მოაკუდინე
და ქჳშასა მას შინა სიმდაბლისასა დაჰმალე, არამედ მთადცა
აღხუედ და ღმერთი იხილე ეკლოანითა და ფიცხლითა და
ძნიად შემავალითა მოქალაქობითა.

129. და ჴმაჲ ღმრთისაჲ გესმა, და ნათელი მისი იხილე,
და ჴამლნი იგი, რომელ არიან ვნებათა ნივთნი, წარიჴადენ
ფერჴთაგან სულისათა, და უპყარ ბოლოსა მისსა, რომელი-
იგი ანგელოზთაგან ვეშაპ იქმნა, და მღჳმესა ქუესკნელსა
შთაჰჴადე იგი, და ფარაოს მძლე-ექმენ მაღალსა მას და ამ-
პარტავანსა, და მეგჳპტელნი ჰგუემენ, და მათნი პირმშონი
მოსწყჳდენ, რომელ-ესე დიდ არს საკჳრველებით. ამისთჳსცა
უფალმან გარწმუნა შენ წინამღურობაჲ ძმათაჲ, რომელნი-
ცა იჴსნენ შენ, ნეტარო, ფარაოჲსაგან და ბოროტისა მის
ალიზისა, და მიეც მათ სუეტი ცეცხლისა და ღრუბლისა
საღმრთოჲსაჲ, დამშრეტელისა ყოვლისავე ვნებათა საჴუმი-
ლისა. და არა ესე ოდენ, არამედ მეწამული ესე და ცეცხ-
ლისფერი ზღუაჲ განუპე მათ, რომელსა შინა მრავალნი და-
ვინთქმით, და მძლედ გამოაჩინენ იგინი კუერთხითა მწყემ-

სობისა შენისაჲთა, და ყოველნი მდევარნი მათნი სრულიად დაანთქენ; და ამას ზედა ამალეკიცა იგი ამპარტავანებისაჲ, რომელი შემდგომად ზღჳსა განვლისა შეემთხუევის, მოსწყჳდე აღპყრობითა ჴელთაჲთა, შორის საქმისა და ხედვისა, ერისა მისთჳს ღმრთისა მიერ შენდა რწმუნებულისა, და მძლე-ექმენ წარმართთა, და მთად უვნებელობისა აღიყვანე ერი შენი. მღდელნი დაუდგინენ მათ, წინადაცუეთაჲ ვნებულებისაჲ ასწავე, რომლისა თჳნიერ არა იხილვების ღმერთი, არა-თუ იქმნას წინადაცუეთაჲ ვნებათაჲ და მოსლვაჲ სიწმიდისაჲ; და სიმაღლედ ახუედ და ყოველი უგულისჴმოებისა ბნელი განჰკუეთე, და მიეახლე ნათელსა ფრიად უაღრეს მაყულოანისა მის, და ღირს იქმენ შენ ჴმასა საღმრთოსა, ღირს იქმენ ხედვასა და წინაჲსწარმეტყუელებასა, და იხილე ზურგით-კერძო ღმერთი, ესე იგი არს საუკუნოჲ იგი ყოფადი ნათელი, და გესმა ჴმაჲ იგი, ვითარმედ: „ვერ იხილოს კაცმან პირი ჩემი“ (გამოს. 33,20). და მერმე სიღრმესა მას სიმდაბლისასა შთახუედ ქორებს შინა, და თანა გაქუნდეს ფიცარნი ღმრთივწერილნი გულისჴმის-ყოფისანი, და დიდებულ იყო პირი სულისაჲცა და ხორცთაჲ. ხოლო რაჲ-მე ვთქუა ჴბოჲსა მისთჳს? ჵ, საქმჱ იგი, ჵ, შემუსრვაჲ იგი ფიცართაჲ! და მერმე რაჲ? უპყარ ჴელსა ერისასა, და განავლე უდაბნოჲ იგი და წყურილისა მის ალი დაშრიტე, და წყარონი მათ ცრემლთანი მოანიჭენ ძელისა მიერ, რომელ არს ჯუარცუმაჲ ჴორცთაჲ ვნებათა თანა და გულისთქუმათა.

130. და წარმართნი იგი ბოროტნი ცეცხლითა ღმრთისამიერითა დასწუენ, და იორდანედ მოხუედ (რამეთუ არარაჲ არს დამაყენებელ მცირედ-რაჲმე სახისა მის ძუელისა დატეობაჲ), რამეთუ განჰკუეთე იგი დიდად მდინარჱ და ქუემონი წყალნი ზღუასა მას მარილთა და სიკუდილისასა მისცენ, და სხუანი იგი წყალნი სიყუარულისანი ზემოჲთ დააგუბენ, წინაშე თუალთა სულიერთა მათ ისრაელთაჲსა. და ჰბრძანე ათორმეტ-

თა მათ ლოდთა მოღებაჲ, გინა-თუ მოციქულთა რიცხჳ მათ მიერ აღაშენე, ანუ-თუ რვათა მათ ვნებათა ძლევაჲ და ოთხთა მათ დიდთა სათნოებათა მოგებაჲ მოასწავე, და მკუდარი იგი და უნაყოფოჲ ზღუაჲ ზურგით დაუტევე სრულიად, და იერიქოდ მიხუედ ქალაქად, და დაჰბერე ნესტუსა ლოცვისასა შჳდისა ამის შჳდეულისა ჟამთა საწუთროჲსათა, და დაარღჳენ ზღუდენი იგი და სძლე, ვიდრეღა შენცა შემწისა მიმართ უნივთოჲსა ღაღადებდი, ვითარმედ: „‘მტერისა მახჳლსა მოაკლდა სრულიად’ (ფსალმ. 9,7) და ზღუდენი იგი ვნებათა ჩემთანი დაირღუენ“.

131. ხოლო ვთქუა უმეტესიცა: იერუსალᲗმდ ახუედ, რომელ არს ხილვაჲ სრულისა მის მშჳდობისაჲ, და ქრისტე იხილე, ღმერთი იგი მშჳდობისაჲ, და მის თანა იღუაწე, ვითარცა კეთილმან მჴედარმან, მის თანა ჯუარს-ეცუ ჴორცითა ვნებათა თანა და გულისთქუმათა, და იქმენ შენცა ღმრთისა მიერ ღმერთ ფარაოჲსა და ყოვლისავე წინააღმდგომისა ძალისა, და ქრისტეს თანა დაიფალ, და შთაჰჴედ მის თანა უფსკრულთა მათ ღმრთისმეტყუელებისათა, და ნელსაცხებელი მიიღე მეგობართა მათ სათნოებათაგან და ესრეთ აღდეგ, რამეთუ რაჲ დამაყენებს თითოეულად თქუმად: აღსდეგ მესამესა დღესა, ესე იგი არს შემდგომად ძლევისა სამთა მათ მძლავრთა: ნაყროვანებისა და ვეცხლისმოყუარებისა და მზუაობრობისა; და უფროჲსად შემდგომად განწმედისა სულისა და ჴორცთა და გონებისა გულისთქუმისაგან და გულისწყრომისა და გულისსიტყუათა. და მთად ზეთისხილთაჲსა აღჴედ (რამეთუ ჯერ არს შემოკლებაჲ და არა გრძელად სიბრძნისმეტყუელებაჲ სიბრძნითა სავსისა მიმართ, და უფროჲს ჩუენ ყოველთა მეცნიერისა), რამეთუ აღჴედ მთასა მას, რომლისათჳს წმიდაჲ იგი იტყოდა: „მთანი მაღალნი ირემთა“ (ფსალმ. 103, 18), სულთა მათ, მომსრველთა ვნებათასა.

132. ამისა უკუე შემდგომად შენცა აღხუედ და აღიხილენ ზეცას თუალნი, რამეთუ კუალად სიტყჳსა წესი სიტყჳსა მიმართ მივიყვანო. გუაკურთხენ ჩუენ, მოწაფენი, და განიცადე წინამდებარჱ იგი სათნოებათა კიბჱ, რომლისაცა, მადლითა მით ღმრთისაჲთა მოცემულითა შენდა, საფუძველი დასდევ, ვითარცა ბრძენმან ხუროთმოძღუარმან, და უფროჲსღა აღსასრული ჰყავ. დაღაცათუ სიმდაბლისა სიღრმითა ჩუენი ესე გლახაკი და უსწავლელი პირი აიძულე ერისა შენისა მიმართ აღებად, და არა საკჳრველ არს, რამეთუ მოსეცა უწესდა თავსა თჳსსა ჴმაწულილად და ენაბრგუდ, არამედ მას აჰრონ ჰყვა კეთილად მეტყუელი. ხოლო შენ, ჵ, ნეტარო, არა უწყი, თუ რად მოხუედ წყაროდ განჴმელად და აღვსებულად მყუართაგან ეგჳპტისათა და უფროჲსად ნაკუერცხალთა ეგჳპტისათა.

133. და, ვინაჲთგან არა ჯერ არს დატეობად სახესა და იგავსა შენისა მის აღსლვისასა აღუსრულებელად, ამისთჳს კუალად პირველსავე სიტყუასა მოვიდე: რამეთუ აღჰჴედ მთასა მას წმიდასა, და თუალნი ზეცად აღიხილენ, და ფერჴი კიბესა სათნოებათასა დასდგი, აღხუედ და აჰმაღლდი, და აღჰფრინდი და აჰმაღლდი ღაღადებითა, და მტერთა მძლეექმენ, და მოსწყჳდენ, და წინაწარუძეღუ, და უფროჲსღა აწცა მარადის გჳძღჳ ჩუენ ყოველთა, რამეთუ აღსრულ ხარ თავსა მას წმიდისა მის სათნოებათა კიბისა და შეერთებულ ხარ სიყუარულსა; ხოლო სიყუარული არს ღმერთი, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ანდერძები

Ath.5
იოვანე სვინკელის ანდერძი
983 წ.

ქრისტე, ადიდე სულითა მამაჲ და მოძღუარი ჩუენი იოვანე, და მიეც მადლი წინამძღურებისაჲ განმანათლებელად სულთა, ვითარცა მიეც წმიდათა ამათ მამათა, რომელნი წერილ არიან წიგნსა ამას.

ქრისტე, ადიდე სულითა მამაჲ იოვანე სჳნკელი, და მიეც მადლი მორჩილებისაჲ და ღირს-ყავ სასუფეველსა შენსა.

ქრისტე, ადიდე სულითა წმიდაჲ მამაჲ ეფთჳმე, ამისი თარგმანი, და მიეც სული სიბრძნისა შენისაჲ, და განაძლიერე თარგმანებად წიგნთა საცხორებელად სულთა ჩუენთა. ამინ. იყავნ.

სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა, რომელნი საუკუნითგან სათნო-ეყვნეს უფალსა ჩუენსა:

ესე წმიდაჲ წიგნი მე, იოვანე სჳნკელმან დავწერე ბრძანებითა წმიდისა მამისა და მოძღურისა ჩემისა იოვანესითა და ეფთჳმესითა, სასწავლელად და სარგებელად სულთა ჩუენთათჳს; აწ ვინცა იმსახურებდეთ, ღმერთმან დაგაჯეროს, ლოცვასა მოგჳჴსენენით, რაჲთა თქუენცა ქრისტემან შეგიწყალნეს. ამინ.

დაიწერა ქუეყანასა საბერძნეთისასა, უდაბნოსა მთაწმიდისასა, მეფობასა ბასილისსა და კოსტანტისსა, პატრიაქობასა ნიკოლაოს ხრუსოვერგისასა, დასაბამითგანთა წელთა ხფპ[ვ], ქრონიკონი იყო სგ.

საბასი

მე საბა, ამისი უცბად მჩხრეკალი, გევედრები ყოველთა წმიდათა, რომელნი წიგნსა ამას იკითხვიდეთ, ღმერთმან დაგაჯეროს, ლოცვა-ყავთ, და თუ რაჲმე დამეკლოს, შემინდვეთ, რაჲთა თქუენცა ღმერთმან შეგინდვნეს ყოველნი ცოდვანი. ამინ.

ბაყლი - ჭუჭყი, ლაფი.
განზრახება - რჩევა, დარიგება (შვილთა თჳსთა განაზრახებენ).
განლიგება - გაშტერება (ვითარცა განლიგებული დგა).
განმჴნობა - გამხნევება, გაძლიერება (სურვილითა საღმრთოჲთა განმჴნდებიან).
გბოლვილი - მოხარშული, წვნიანი.
გოლეული - ფიჭის თაფლი.
გულშეღებული - გულწასული.
დაბებკული - დაკონკილი, დაფლეთილი.
დაკანებული - გასქელებული (მუხლნი დაკანებულნი).
დალიჭი - სასამართლო (მივალ წინაშე საყდარსა და დალიჭსა საშინელსა).
დამახრწეველი - ხელის შემშლელი (ძჳრისჴსენებაჲ ... დამახრწეველი არს ვედრებათაჲ).
დაუყენებელად - შეუფერხებლად, შეუჩერებლად (ზეცად დაუყენებელად აღვიდეს).
დახრწევა - ხელის შეშლა, დაბრკოლება (ღმრთისა მიერ იყო დახრწევაჲ იგი).
დაჰამება - დაამება (დააჰამის რაჲ ღჳნომან გული კაცისაჲ).
ველისყრდელი - ერთგვარი მწარე ბალახი.
თავმოთნება - თავმოწონება, ამპარტავნება.
თავქედი - თავის ტკივილი.
თელგმა - ჩირქი.
თუალუხუავი - მიუკერძოებელი.
თჳთრჩულობა - თავნებობა.
თხიერი - ტიკი.
ინიოხი (ბერძ.) - მხედარი, (საბრძოლო ეტლის) მეეტლე.
კდემა - შერცხვენა, ყვედრება, ძრახვა (სუმაჲ კდემისა და ყუედრებისაჲ); მორიდება.
კელობა - კოჭლობა.
კიცხევა - დაცინვა, შეურაცხყოფა (ეკიცხევდეს ეშმაკნი).
კრულება - შეკრულობა; ბორკილი; წყევლა, შეჩვენება.
ლხინება - მიტევება; განკურნება; ხსნა.
მანქანა - მოწყობილობა, იარაღი; მზაკვარი, ბოროტებაში დახელოვნებული.
მანქანება - ხერხი, ღონე; ვერაგობა.
მართლუკუნ - უკან.
მაჩუენებლობა - თვალთმაქცობა.
მაცილობელი - მოკამათე, მოდავე.
მედგარი - ცუდი, ავი, ვერაგი; ზარმაცი.
მმურკვნელი - გამათეთრებელი.
მოდნობა - მონელება (ადვილად მოსადნობელი).
მოზავება - შეწყობა, შეფერება (თითოეულისა ცხორებასა მოეზავებოდინ).
მომდოვრება - დამშვიდება (მრავალგზის მოამდოვრისცა).
მოპოვნებული - მოგონილი.

მოქმნა - დამუშავება (მოქმნას ქუეყანაჲ).
მოყმობა - დამშევა (მუცელსა მოაყმობდა).
მოყსობა - მოყვასობა, მეგობრობა.
მოშურნე - შურიანი; ძალიან მოწადინებული, მონდომებული (კეთილისა ქმნად მოშურნე ვიყვნეთ).
მოწყინება - სულიერი უძლურება.
მოწყლვა - დაჭრა, დაზიანება (მოსწყლავ გულთა მათთა).
მოჭირება - მოჭერა (მოაჭირე ჭიმითა გონებასა განმკითხველსა მოყუასისასა).
მსტოვრობა - ჯაშუშობა, თვალთვალი (მალვით იმსტოარობდეს).
მღერა - თამაში (სიძვისა ეშმაკი ემღერის); ცეკვა; დაცინვა.
მყო(ვ)არ ჟამ - დიდხანს.
მყუარი - ბაყაყი.
მცონარება - სიზარმაცე.
მწამლველობა - გრძნეულება, ჯადოქრობა.
მწკრე - ტალახი, მყრალი ჭუჭყი (გულნი ვნებულნი და მწკრითა სავსენი).
მჭახი - მკვახე ყურძენი.
მჭკუერველი - მძარცველი, ამომგდები, წამხდენი (საფლავის მჭკუერველნი არა შეშინდებიან ადრე).
მჭცე - ჭაღარა.
ნასხმანი - სახსარი, იოგი.
ნივთება - თხზვა, ხლართვა (ცუდადმეტყუელებითა ნივთებდეს სიცილსა); გულდასმით კეთება.
ოლვა - ფშვნეტა, დაზელვა (იოლნის თუალნი თკსნი).
პატიჟი - სასჯელი.
პოხილი - ნოყიერი, მსუქანი.
საგოზელი - შესალესავი, გაჯი.
სამურკნვლო - სამრეცხაო.
საოლავი - წასასმელი (ზეთი, წამალი).
საქუსალი - საქსოვი (მოწყობილობა) (საქუსლითა... მოქსოილი).
საცნობელი - გრძნობის ორგანო (დაცვაჲ საცნობელთაჲ დაუკლებელი)
საჭირო - ძნელი (საჭირო გზაჲ მარხვისაჲ).
სახე - გამოსახულება; შესახედაობა; ნიმუში, მაგალითი; ნიშანი, სიმბოლო.
საჴელი - სახელო (შეიხკა საჴლითა ჴელი თკსი).
სიბორგილე - გახელება, სიგიჟე.
სიგუესე - მზაკვრობა
სიმარცხე - მოუხერხებლობა (სიმარჯვე-ს ანტონიმი).
სიფიცხლე - სისასტიკე, სიმკაცრე.
სიფუდულე - უკეთურება, ამპარტავნება.
სიღნიოშე - უწმინდურება.
სიცოფე - სიგიჟე; სისულელე.
სურვიელი - მსურველი; მოწადინე.
ტენება - (მი)ჯრა.
უვნებელობა - ვნებების არქონა, ვნებებისაგან თავისუფალი სულიერი მდგომარეობა, სულირი სიჯანსაღე, დიდი სულიერი სიწმინდე.

უკუ(ღ)მართ - უკან.
უმადლო - უმადური.
უნდო - უვარგისი; მდაბიო.
უტყუელი - მართალი; ჭეშმარიტი.
უფუარი - უსაფუაროდ გამომცხვარი.
უძღები - უწესო; ურცხვი; გაუმაძღარი.
უხდელად - მოუწოდებლად (უფალი ჩუენი უხდელად მოვიდა).
ფილაფოზობა - ფილოსოფოსობა, საერო სიბრძნე.
ქარიანნი ჭამადნი - საკვები, რომელიც გაზების დაგროვებას იწვევს.
ქედფიცხელი - ურჩი.
ქენება - ხვეწნა-მუდარა, დაყვავება; მლიქვნელობით ლაპარაკი.
ქენჯნა - ტანჯვა (ქედფიცხელთა დაქენჯნად ნუ შეიწყალებ).
ქცევა - სვლა; ყოფნა; შეცვლა; მიბრუნება (ნუმცა იქცევის უკუღმართ); ტრიალი.
ღლია - იღლია.
ღონე - ხერხი; ხრიკი; საშუალება.
ყენება - შეჩერება (აყენებდენ ცუდადმეტყუელებისაგან); დაბრკოლება.
შარავი - ჩირქიანი წყლული.
შებრკუმობა - დაბრკოლება, შეცდენა (ურწმუნოებითა შეუბრკუმეს).
შეგინებული - ბილწი; დასვრილი.
შეყენებული - შემწყვდეული (შეყენებულნი იგი მფრინველნი).
შური - შური; ბაძვა; ძლიერი სურვილი, მისწრაფება.
ცებნა - ცოდნა.
ცოფი - გიჟი.
ცუდი - ამაო; ფუჭი; უვარგისი (რომელთა უყუარს ცუდი დიდებაჲ).
ცუნდრუკება - ჩურჩული, ავენობა (უცუნდრუკებდ და შეაშფოთე იგი).
ცხოველი - ცოცხალი.
ცხრო - ციებ-ცხელება
ძკრი - ცუდი; ავი; ბოროტი.
ძკრისზრახვა - ცუდის თქმა, ლანძღვა, ბოროტმეტყველება.
ძკრისმოჴსენე - გულღრძო, წყენის, მტრობის გულში დამმარხველი.
ძკრისჴსენება - გულღრძოობა, ცუდის, წყენის გულში დამარხვა.
ძკრუჴსენებლობა - ცუდის, წყენის დამვიწყებლობა.
წერტა - ჩხვლეტა (უწერტნ სულსა).
წონა - დახრა, დაღუნვა; მოძრაობა (თავთა დაუცადებელად იწონდიან).
ჭიმი - ლაგამი, აღვირი (მოაჭირე ჭიმითა გონებასა განმკითხველსა მოყუსისასა).
ჭრტინვა - გოდება, ჩივილი (მისა მიმართ ჭრტინავნ); ჭიკჭიკი.
ხარტუკი - რკინის კავი (ვითარცა პირუტყუნი ხარტუკითა).
ჰამება - სიამოვნება (არცაღა საზრდელი... ეჰამებინ).
ჰამრი - ანგარიში, აღრაცხვა, განსჯა.

შენიშვნებისთვის

გამომცემლობა
ბეთანია

გარეკანზე: „კიბის“ ხატი სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრიდან, XIII ს. უკანა მხარეს: სათნოებათა კიბის „საფეხურების“ ჩამონათვალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-134, XI ს. ფორზაცზე: სინას მთები.

დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილში“